კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
Bachelor’s Program in Georgian Philology	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
ბაკალავრიატი	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ქართული	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი, 0232
ინლისურად:	Bachelor of Georgian Philology, 0232
შესაბამისი პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-39, 29.11.2017 განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-11 01.08.2018 განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-33, 21.04.2020 განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით #01/01-43, 30.07.2022
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფ. მარიამ მანჯგალაძე
ინფორმაცია იხ. “ პროგრამის ხელმძღვანელის CV”	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან:

- 135 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 45 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 60 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს როგორც ძირითადი სწავლის სფეროს, ისე თავისუფალი კომპონენტის შესაბამისი არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსებიდან (თავისუფალი კომპონენტის ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 ECTS კრედიტს)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის მიზანი	ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს: • თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; • სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის სათანადოდ სწავლების, შესწავლისა და გამოყენებისათვის თანამედროვე პირობების შექმნას; • სტუდენტთა მომზადებას საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელმწიფო ენის სწავლებისა და პოპულარიზაციისათვის, მაგალითად, ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისას; • პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას და პროფესიულ განვითარებას; • კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას, დაფუძნებულს ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე, ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე. პროგრამის მიზანია: • სტუდენტს შესძინოს კომპლექსური ცოდნა ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებების, ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ლიტერატურის შესახებ; • სტუდენტს შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ენათმეცნიერული თეორიები; განუვითაროს ლინგვისტური წყაროების ანალიზის უნარი; გააცნოს ქართველურ ენათა სპეციფიკა; ციფრული ჰუმანიტარიის საფუძვლები; • გადასცეს სტუდენტს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიულ-შემეცნებითი პროცესების საკვანძო საკითხებზე თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის უახლეს ასპექტებს; • განუვითაროს სტუდენტს ნაწარმოების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი; შეასწავლოს კლასიკური ენების, ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის საფუძვლები, როგორც ზოგადი ფილოლოგიური განათლების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.
საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

	სწავლის შედეგი 1. აღწერს ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს, რომელიც მოიცავს ზოგადად ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო, საკვანძო საკითხებსა და განვითარების ეტაპებს. **ინდიკატორები** • მსჯელობს ქართული ფილოლოგიის ძირითად სამეცნიერო საკითხებზე, განავრცობს და აჯამებს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს; • განიხილავს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებს; • აღწერს ციფრული ჰუმანიტარიის კვლევის ინსტრუმენტებს; • აღწერს და განაზოგადებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან, როგორც ისტორიული წარსულის მიხედვით, ისე თანამედროვე კონტექსტში. **სწავლის შედეგი 2.** აღწერს და განმარტავს ქართველური ენათმეცნიერების, სალიტერატურო ენის ძირითად საკითხებს, მსჯელობს ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითადი საკითხების შესახებ; განიხილავს ლინგვისტური კვლევისა და ენობრივი ვარიაციების ასპექტებს, ენის ცვლილების შესაძლებლობებსა და მის როლს საზოგადოებაში. **ინდიკატორები** • განაზოგადებს **ქართველური ენათმეცნიერების** ძირითად სამეცნიერო საკითხებს, მსჯელობს და წერილობით გადმოსცემს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს; • განმარტავს ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიისა და სტილისტიკის საკვანძო საკითხებს; • განარჩევს და იყენებს ენათმეცნიერული კვლევის აუცილებელ ინსტრუმენტებს; ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების ანალიზისას არგუმენტირებულად და, შეძლებისდაგვარად, კრიტიკულად აფასებს და აფიქსირებს საკუთარ თვალსაზრისს ლინგვისტური მონაცემების კვლევის აუცილებელი, საბაზისო ცოდნის საფუძველზე; • გამოკვეთს და ასახელებს თანამედროვე საენათმეცნიერო კვლევების ტენდენციებსა და თავისებურებებს. **სწავლის შედეგი 3.** მსჯელობს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების შესახებ. **ინდიკატორები** • მსჯელობს, განარჩევს, განიხილავს და განავრცობს ლიტერატურის თეორიის კვლევის აუცილებელ ინსტრუმენტებს, ავლენს ტექსტის კვლევის აუცილებელ საბაზისო ცოდნას; • განიხილავს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების

ტენდენციებსა და თავისებურებს;

- აღწერს და მსჯელობს ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების პროცესებზე;
- განიხილავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით;
- კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს, ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტის შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს;
- აღწერს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს.

სწავლის შედეგი 4.

აგროვებს, ამუშავებს, განავრცობს, შეარჩევს და განმარტავს სფეროს შესაბამის მონაცემებს; მოქმედებს ავტონომიურად და თეორიული მასალის ცოდნას წერილობით ან ზეპირად ადასტურებს; შესაბამისად, საკითხებს იაზრებს და, მიღებული ფართო ცოდნის საფუძველზე, გადმოსცემს არგუმენტირებულად.

ინდიკატორები

- განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს;
- იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, დასაბუთებულ დასკვნებს;
- ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, ქართული ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშავებს კრიტიკულ მიდგომას;
- განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს;
- ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ მოვლენებს;
- გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების მიმართ;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგი 5.

ქმნის აკადემიური სტანდარტის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს ჰუმანიტარული სფეროს შესაბამისი თუ მეცნიერების ნებისმიერი დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდების საფუძველზე.

ინდიკატორები

- განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს;
- ერკვევა, ხსნის და გადმოსცემს ქართული ენის ფონეტიკა -ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართული ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიის საბაზისო საკითხებს;
- არგუმენტირებულად იზიარებს ან არ იზიარებს ლიტერატურულ კრიტიკას და იყენებს კვლევით მეთოდებს კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით;

	• ქმნის აკადემიური სტანდარტის შესაბამისი ფორმატის, ლოგიკურად დასაბუთებულ და არგუმენტირებულ ნაშრომს და ამჟღავნებს კრიტიკული კითხვის, შემოქმედებითი და ანალიტიკური წერის უნარს. მსჯელობას წარმართავს აკადემიურ ჩარჩოებში, აზრს აყალიბებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.
დასაქმების სფეროები და სტატისტიკური მაჩვენებლები	ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების, საგამომცემლო, სარედაქციო, საარქივო და საბიბლიოთეკო სფეროებში, საჯარო და არასაჯარო სექტორში, ბეჭდურ, ციფრულ და ტელე-ჟურნალისტიკაში, სარეკლამო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.
სწავლის გაგრძელების საშუალება	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები
სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სწავლების ელექტრონული ფორმატი დადგენილი წესების შესაბამისად.

ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო)									
			ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	**10**	**15**							**25**
1.	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								5
2.	ACWR 0007	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5								5
3.	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია		5							5
4.	HIST 0001	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია		5							5
5.	RHET 1260	არ გააჩნია	რიტორიკა		5							5
			ზოგადი ინგლისური ენა	**5**	**5**	**5**	**5**					**20**
6.	ENGL 0005/ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5								5
7.	ENGL 0006/ENGL 0008	ENGL 0005/ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5							5
8.	ENGL 0007/ENGL 0009	ENGL 0006/ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5						5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
9.	ENGL 0008/ENGL 0010	ENGL 0007/ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5					5
			ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სავალდებულო)	**15**	**10**	**20**	**20**	**25**	**20**	**15**	**10**	**135**
			დარგობრივი და პროფესიული სასწავლო კურსები									**30**
10.	LIT 1160	არ გააჩნია	ანტიკური ლიტერატურის ისტორია (I ნაწ.)	5								**5**
11.	LIT 1260	LIT 1160	ანტიკური ლიტერატურის ისტორია (II ნაწ.)		5							**5**
12.	LIT 2163	არ გააჩნია	დიადი წიგნები I ნაწ.			5						**5**
13.	LIT 2262	LIT 2163	დიადი წიგნები I I ნაწ.				5					5
14.	IBPH 3160	არ გააჩნია	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში					5				**5**
15.	FDH 4160	არ გააჩნია	ციფრული ჰუმანიტარიის საფუძვლები							5		**5**
			ქართული ენა									**45**
16.	LING 1260	არ გააჩნია	ენათმეცნიერების შესავალი	5								5
17.	PHON 2160	LING 1260	ქართული ენის ფონეტიკა, სახელის მორფოლოგია			5						5
18.	GEST 2160	არ გააჩნია	ქართველოლოგიის შესავალი			5						5
19.	MORP 2260	PHON 2160	ქართული ზმნის მორფოლოგია				5					5
20.	SYNT 3160	PHON 2160; MORP 2260	ქართული ენის სინტაქსი					5				5
21.	LEX 3160	არ გააჩნია	ქართული ენის ლექსიკოლოგია					5				5
22.	AGL 3260	PHON 2160; MORP 2260	ძვ. ქართული ენა						5			5
23.	DIAL 3260	PHON 2160;	ქართული ენის დიალექტოლოგია						5			5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
		MORP 2260										
24.	STYL 4160	არ გააჩნია	ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა							5		5
			კლასიკური ენები									**10**
25.	AGRE 3160	არ გააჩნია	ძვ. ბერძნული ენა					5				5
26.	LAT 3260	არ გააჩნია	ლათინური ენა						5			5
			ქართული ლიტერატურა									**40**
27.	LIT 1161	არ გააჩნია	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	5								5
28.	FOLK 1260	არ გააჩნია	ქართული ფოლკლორი		5							5
29.	LIT 2163	არ გააჩნია	ძველი ქართული ლიტერატურა 1			5						5
30.	LIT 2262	LIT 2163	ძველი ქართული ლიტერატურა 2				5					5
31.	LIT 2261	არ გააჩნია	რუსთველოლოგია				5					5
32.	LIT 3161	არ გააჩნია	XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა					5				5
33.	LIT 3262	არ გააჩნია	XX საუკუნის ქართული ლიტერატურა						5			5
34.	LIT 4162	LIT 3262	თანამედროვე ქართული ლიტერატურა							5		5
			საბაკალავრო ნაშრომის მომზადება									**10**
35.	BTHE 4260	ACWR 0007	საბაკალავრო ნაშრომი								10	10
			არჩევითი სასწავლო კურსები			5	5	**5**	**10**	**15**	**20**	**60**
			ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები									**80**
36.	HLIT 2160	არ გააჩნია	ლიტერატურული აზრის ისტორია			5						5
37.	LIT 2161	არ გააჩნია	დაბადება და ახალი აღთქმა			5						5
38.	LEX 2260	არ გააჩნია	ლექსიკოგრაფიის შესავალი				5					5
39.	ALT 3161	არ გააჩნია	ლიტერატურული მემკვიდრეობა მუზეუმებში: ინტერპრეტაციის მეთოდები					5				5
40.	ALT 3260	ENGL 0008	მხატვრული და დარგობრივი თარგმანის						5			5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			ელემენტები - შესავალი კურსი									
41.	ALT 3261	არ გააჩნია	ტექსტოლოგიური კვლევის საფუძვლები						5			5
42.	ALT 4161	არ გააჩნია	ლინგვისტურ მონაცემთა ციფრული დამუშავების საფუძვლები და ელექტრონული სწავლების კომპონენტები							5		5
43.	ALT 4165	არ გააჩნია	ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია							5		5
44.	ALT 4166	არ გააჩნია	ქართული ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობები							5		5
45.	ALT 4167	არ გააჩნია	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა და ნორმალიზაციის საკითხები							5		5
46.	ALT 4168	LING 1260 GEST 2160	ქართველური ენები (მეგრულ-ლაზური)							5		5
47.	ALT 4169	არ გააჩნია	ქართული ემიგრანტული ლიტერატურა (XX საუკუნე)							5		5
48.	TED 4260	არ გააჩნია	ტექსტის რედაქტირება								5	5
49.	COLI 4260	არ გააჩნია	კოგნიტური ლინგვისტიკა								5	
50.	ALT 4266	LING 1260 GEST 2160	ქართველური ენები (სვანური)								5	5
51.	ALT 4268	არ გააჩნია	ლიტერატურული კრიტიკა								5	5
52.	ALT 4269	არ გააჩნია	რეალიზმის ეპოქა								5	5
			თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები									**35**
53.	MYTH 2160	არ გააჩნია	მითოლოგია			5						5
54.	LC 2260	არ გააჩნია	ენა და კულტურა				5					5
55.	ICS 2260	არ გააჩნია	კულტურის კვლევების შესავალი				5					5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
56.	ALT 3162	არ გააჩნია	პუბლიცისტიკა					5				5
57.	PST 3160	არ გააჩნია	მეტყველების და საჯარო გამოსვლის ტექნიკა					5				
58.	LIT 4161	არ გააჩნია	ევროპული ლიტერატურა და მოდერნისტები							5		5
59.	ALT 4265	არ გააჩნია	განმანათლებლობის ეპოქა და საქართველო								5	5
60.	ALT 4267	არ გააჩნია	შემოქმედებითი წერა								5	5
			მეორე უცხო ენა									**20**
61.	FREN/GERM/ESP/ITA 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0					5				5
62.	FREN/GERM/ESP/ITA 0002	FREN/GERM/ESP/ITA 0001	მეორე უცხო ენა A1						5			5
63.	FREN/GERM/ESP/ITA 0003	FREN/GERM/ESP/ITA 0002	მეორე უცხო ენა A2.0							5		5
64.	FREN/GERM/ESP/ITA 0004	FREN/GERM/ESP/ITA 0003	მეორე უცხო ენა A2								5	5
			თავისუფალი კრედიტი									**20**
65.	FREE 0001	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 1					5				5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				E ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
66.	FREE 0002	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 2						5			5
67.	FREE 0003	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 3							5		5
68.	FREE 0004	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 4								5	5
ECTS კრედიტები			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	
			წელიწადში	60		60		60		60		
			საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში									